ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1977
ᲙᲕᲘᲠᲐ
30
ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
№ 254
(16994)
ᲤᲐᲡᲘ
2 ᲙᲐᲞ
1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲖᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ — ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲡ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲐᲪᲐᲓ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲔᲕᲣᲮᲐᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲡ!

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲐᲓ მოაბიჯებს დიდი ზეიმი — კაცობრიობის გაზაფხულის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წელი. საბჭოთა ისტორიის ეს მესამოცე წელი აღინიშნება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — კომუნისტური მშენებლობის ეპოქის ნამდვილი მანიფესტის ნიშნით. ჩვენი ყოველდღიურობა აღსავსე შრომითი მოღვაწეობით. ყველგან, ყველაფერში იგრძნობა დიდი დღესასწაულის მოახლოება. განსაკუთრებული, ამაღლებული განწყობილებაა ყოველ შრომითს კოლექტივში. ეს იგრძნობოდა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ, გუშინ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული მშრომელთა პატრიოტული თაოსნობის დირსშესანიშნავ დღეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის დღეს.

1977 წლის 29 ოქტომბრის კომუნისტური შაბათობა ქალაქად და სოფლად შრომითი კოლექტივების, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ძალზე ნაყოფიერი შრომით აღინიშნა.

— შევუჯეროთ ჩვენი საქმენი ოქტომბერს, კონსტიტუციას!

— შაბათობის დღეს გამოვუშვათ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ჩავაბაროთ იგი პიროველი წარდგენისთანავე! — ასეთი ლოზუნგებით მუშაობდა ასობით კოლექტივი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში.

მასების შემოქმედებითს აქტიურობასა და ინიციატივას ეშმაკრიტად ფრთები შეასხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შაბათობის მომწყობი შტაბების, თვითეულ შრომითს კოლექტივში კი — შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნამ. მათ ყველაფერი გააკეთეს შაბათობის მომზადებისა და მოწყობის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად, მისი მონაწილეებისათვის მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობის უზრუნველსაყოფად, საწარმოთა და დაწესებულებათა პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, იდმინისტრაციის მეცადინეობის წარსამართავად იმისათვის, რომ მაქსიმალურად ჩაებათ მშრომელები კომუნისტურ საოქტომბრო შაბათობაში, თითოეულ კოლექტივში შეიქმნა მაღალი შრომითი ენთუზიაზმის ატმოსფერო, რათა გამოეშვათ ამ დღეს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, მიეღწიათ შრომის უმაღლესი ეფექტიანობისათვის მუშაობის ყველა უბანზე.

სწორედ ასეთი შრომითი მაჩვენებლების ამსახველი პაკეტები, რეპორტაჟები, ინფორმაციები მოდიოდა რედაქციაში გუშინ მთელი დღე გვიან საღამომდე. მათს მცირე ნაწილს ჩვენ**ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ.**

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲠᲗ.). კომუნისტური შაბათობის დღე განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღინიშნა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის სოხუმის წარმოება-დაწესებულებების, საამშენებლო ობიექტების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მოსამსახურეებმა მაღალნაყოფიერად იშრომეს. საოქტომბრო შაბათობამ სასახელოდ წაიარა სოხუმის ხელსაწყოთა ქარხანაში, ქიმიურ, სამხმელოო-მექანიკურ ქარხნებში, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, სამკერვალო, საქსოვ, თამბაჩოს, საკონდიტრო და სხვა საწარმოებში.

შაბათობის დღეს სოხუმის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა გამოიმუშავეს 550 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

საზეიმო განწყობილებით

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲠᲗ.). აჭარის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა და სოფლის მშრომელებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა საოქტომბრო კონუნისტურ შაბათობაში. 29 ოქტომბერი ჩვეულებრივი სამუშაო დღისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ შრომასთან ერთად სუფევდა საზეიმო განწყობილება — დღეგანდელ დღეს ვუძღვნით ახალი კონსტიტუციის მიღებასა და დიადი ოქტომბრის იუბილეს. — თქვა მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატმა გ. ქარცივაძემ.

მუშათა კლასს არც სოფლის მშრომელები ჩამორჩნენ.

— დრო საშურია, ციტრუსის ბაღები გამრჯე მარჯვენას ელოდება. ამიტომ ხელს არ გვიწყობს, მაგრამ ათასობით კოლმეურნე მაინც გამოვიდა სამუშაოდ, — გვითხრა ქობულეთის რაიონის პირველმა მდივანმა ბონდო ჯიქიამ.

დამკვრელურად იშრომეს

ᲒᲐᲮᲜᲘᲗᲚᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲠᲗ.). სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 24 ოქტომბრისათვის შესრულეს 10 თვის საწარმოო დავალება. ეს წარმატება მათ უფრო განამტკიცეს გუშინდელ კომუნისტურ შაბათობაზე. 29 ოქტომბერს ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნების კოლექტივებმა, დაამზადეს 19 ათასი მანეთის სხვადასხვა დიამეტრის მომინანქრებული სადენები, მათ შორის სახელმწიფო ხარისხის ნიშნით — 2.500 მანეთისა. შაბათობის დღეს ცხინვალური ემალსადენები გაეგზავნა მოსკოვის, ეორონეჟისა და კრივოი-როგის საწარმოებს, ხოლო საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანას — მაღალხარისხოვანი ელექტროვიბრაციული მანქანები. სულ ოქტომბერს საწარმოებმა გამოუშვეს 220 ათასი მანეთის პროდუქცია.

120 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐ�პᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ — ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲮᲐᲛᲠᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ Ს. ᲙᲘᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ხ. ᲒᲝᲒᲐᲕᲘ, Თ. ᲧᲚᲘᲜᲢᲘ ᲓᲐ Გ. ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ.

Ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი რუსთავის ლიტონოსტრუქციათა ქარხნის ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების საკითხი.

ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲘᲡᲜᲔᲑᲘ. ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲘᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲘᲡᲜᲔᲑᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲘᲖᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲠᲝᲚᲘ, ᲐᲠᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲐᲠ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲬᲚᲔᲑᲘ

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ „ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲠᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲙᲙᲯ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალების ერთობლივი მოლვაწეობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, გამოვიდა ნაშრომი „ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲠᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

წიგნი, რომელიც ღრმად ასახავს ამერიკაკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ნაყოფიერ და მჭეფფარე მოღვაწეობას ამ დარგში, შედგება იქვსი თავის. შესავლისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მონოგრაფიის თავებია: „ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობა ამერიკაკავკასიის მშრომელთა შემჭიდროებისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში“; „დიდი ოქტომბერი და მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირება საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში“; „ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების განხორციელება ამერიკაკავკასიაში სოციალიზმის მშენებლობის დროს“; „ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეების გამარჯვება დიდ სამამულო ომში“; „ამერიკაკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცება სხრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების დაფუძნებისა და განვითარების პერიოდში“, „ამერიკაკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა მხარის მშრომელთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცებისათვის სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების პირობებში“.

მონოგრაფიის ავტორები არიან: აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ა. ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲐ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. Შ ᲐᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ბ. ᲐᲮᲛᲔᲓᲝᲕᲐ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ბ. ᲕᲔᲖᲮᲘᲠᲝᲕᲘ. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ბ. ᲚᲐᲠᲘᲑᲯᲐᲜᲘᲜᲘ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. პ. ᲒᲣᲚᲘᲔᲕᲘ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი Ა. Ა. ᲯᲣᲡᲘᲔᲜᲝᲕᲘ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი Გ. Ა. ᲨᲐᲕᲜᲘᲐ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. Ვ. ᲘᲡᲐᲠᲝᲕᲘ. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. Ვ. ᲙᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘᲜᲘ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი Ვ. ნ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი Ვ. Ა. ᲛᲣᲠᲐᲓᲘᲜᲘᲜ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. Ი. ᲡᲮᲣᲠᲣᲨᲐ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი Დ. Გ. ᲡᲮᲣᲠᲣᲨᲐ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი Ა. Ვ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. Ი. ᲩᲘᲒᲐᲫᲔ. ᲙᲐᲚᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ თავებზე სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს Ა. Ა. ᲯᲣᲡᲘᲔᲜᲝᲕᲛᲐ და Ვ. Ა. ᲛᲣᲠᲐᲓᲘᲜᲛᲐ.

მონოგრაფიის ხარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: Გ. Ბ. ᲚᲐᲠᲘᲑᲯᲐᲜᲘᲜᲘ, Დ. პ. ᲒᲣᲚᲘᲔᲕᲘ, Ვ. Ვ. ᲘᲡᲐᲠᲝᲕᲘ. Დ. Გ. ᲡᲮᲣᲠᲣᲨᲐ და შ. Ი. ᲩᲘᲒᲐᲫᲔ.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ წიგნის ერთ-ერთი თავის ნაწყვეტს.

□ □ □

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ინტერნაციონალური აღზრდის ბევრი სასარგებლო იფექტიანი ფორმისიდეები განხორციელეს **საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა** პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის ზეიმს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში, 1973 წლის ინიციატივი მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების პროპაგანდის ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო იმავე წლის თებერვალში — დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის შედეგების მიხედვით ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დადგენილებებს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საზეიმო სხდომის მასალების, უწინარეს ყოვლისა, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდამეათე წლისთავის შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტებისათვის. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში გამოვიდნენ საზეიმო სხდომის მონაწილეები, ხელმძღვანელი მუშაკები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, რომლებიც ახსნა-განმარტებით მუშაობას უკავშირებდნენ შრომითი კოლექტივების წინაშე მოდგომ კონკრეტულ ამოცანებს, რითაც ხელს უწყობდნენ რესპუბლიკის მუშებისა და კოლმეურნეების, ყველა მშრომელის ინიციატივის და ფიქრების, ენერგიის ეფექტიანად გამოყენებას ეკონომიკის, ტექნიკისა და ეროვნული საქმეთა ასაშენებლად.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

[illegible]

ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛᲐ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურებისათვის ბრძოლაში. საქართველომ სამშობლოს 700 ათასზე მეტი მეომარი მისცა. ქართველი ხალხი წმიდად იცავს გმირ მეომართა ხსოვნის პატივისცემის ტრადიციას. თითქმის ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დასახლებულ პუნქტებში დადგმულია ობელისკები, ძეგლები, მემორიალური დაფები, შექმნილია საბრძოლო დიდების მუზეუმები, ოთახები თუ კუთხეები. ისინი მოგვაგონებენ იმათ, ვინც სამშობლოს სამსხვერპლოზე უძღვირფასესი რამ — სიცოცხლე მიატანა.

ბევრი რამ გაკეთდა ომის გმირთა ხსოვნის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის გმირობის უკედავსაყოფად ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ დღეებში თბილისის „გამარჯვების პარკში“ გაიხსნა მემორიალი — „უცნობი ჯარისკაცის სფლავი“.

ფრონტელებთან შეხვედრებმა, საუბრებმა, ლექციებმა და სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მოაწყვეს — ხელი შეუწყო ახალგაზრდობის აღზრდას პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომ მზად არიან პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ბამის კონკრეტული ობიექტების მშენებლობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს საქართველოს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივა და მიიღეს მათი წინადადება ამ საერთო საკავშირო სახალხო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის შესახებ.

მშენებლობაზე, სადგურ ნიაში ჩავიდა საქართველოს სპეციალისტთა ჯგუფი. ამ სადგურს, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები აშენებენ, შემდგომში „ნია-გრუზინსკაია“ ეწოდა.

რესპუბლიკის პოლიტიკურ — და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენა გახდა ქართულ ენაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების ხუთტომეულის — „ლენინური კურსით“ — გამოცემა, რომელშიც საფუძვლიანად, მარქსისტულ-ლენინურად არის დამუშავებული განვითარებული სოციალიზმის ეპოქის აქტუალური პრობლემები.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობის საკითხებს სერიოზული უურადღება დაუთმო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ეროვნებისა და ენის საკითხებს. ეს ერთ-ერთი ადგილია, რომელიც ბაკაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ურთიერთობა ხალხების მრავალეროვანი ოჯახის ერთ-ერთ ყველაზე მეცხოვრე ხალხების ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ციხესიმაგრეა. ეროვნული ურთიერთობა

ДИДИ ГАЗАРХВЕБАТА წლები

სსრ კავშირი ინგლისელი პუბლიცისტის თვალით

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ახალი კონსტიტუცია საბჭოთა ხელისუფლების მე-60 წლისთავის წინა დღეებში მიიღო. სიმბოლურია, რომ ეს მოვლენები — იუბილე და კონსტიტუციის დამტკიცება — ერთმანეთს შეერწყა. სსრ კავშირის მთელი ისტორია საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციისაკენ წინსვლაა, და ანლანდელი ძირითადი კანონის მიღება მნიშვნელოვანი ეტაპია ამ სახელოვან გზაზე. ახალ კონსტიტუციაში შეჯამებულია სოციალისტური წყობილების მატერიალური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მიღწევები. მასების ფართო მონაწილეობა მის განხილვაში მოწმობს იმ სისტემის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, რომელმაც ეს კონსტიტუცია შექმნა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია უზრუნველყოფს შრომელთა კიდევ უფრო ფართო და უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, შრომის, ბინის, დასვენების უფლებებს. ყველაფერი ეს მოწმობს 250-მილიონიანი ხალხის დიდ წარმატებებს, რომლებიც მან საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვა.

ოქტომბრის რევოლუციის იუბილე კაცობრიობის ისტორიული განვითარების უდიდესი ნიშნსვეტია. რუსეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვითარების გზა დაუსახეს მთელი მსოფლიოს მშრომელებს. 1917 წლის ოქტომბერი იმის უტყუარი დადასტურება იყო, რომ ხალხს შეუძლია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღება. მას შემდეგ განვლილმა 60 წელმა ცხადყო, რომ პროლეტარიატს, გლეხობას და ინტელიგენციას შეუძლიათ დაიცვან თავიანთი მონაპოვრები, კაცობრიობისათვის დღემდე ცნობილ სოციალურ სისტემათა შორის ყველაზე უკეთესი სისტემის — სოციალიზმის შექმნა.

იმ დიდი პროგრესული ძვრების ფესვები, რომლებიც მსოფლიოში 1917 წლის შემდეგ მოხდა, ოქტომბრის რევოლუციაშია გადგმული, ისინი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მიღწევებთან ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა ხელისუფლების ექვს ათწლეულს, სოციალიზმი რომ დაიცვა და განავითარა, უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოეთის ქვეყანამ გადაიტანა ინტერვენცია, ეკონომიკური ბლოკადა, მეორე მსოფლიო ომი და მის შემდეგ „ცივი ომის“ შავნელი პერიოდი, საბჭოთა ხალხმა გრანდიოზული წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, სოციალურ, კულტურულ და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროში. მან დაამტკიცა, რომ სოციალისტურ მშენებლობაში, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში გამარჯვების გამარჯვებაზე აღწევს.

მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, კერძოდ, ინგლისელი მუშებისათვის, განვლილი 60 წელი ჩინებული გაკვეთილია. ეროვნული და საერთაშორისო მონოპოლიების თაღლითურმა პოლიტიკამ ბრიტანეთის ეკონომიკა კრიზისამდე მიიყვანა. რა მკვეთრი კონტრასტია საბჭოთა კავშირის სტაბილურ, მუდამ მზარდ ეკონომიკასთან შედარებით! მაშინ, როცა ბრიტანეთიდან კაპიტალი უცხოეთში გაედინება (ვინაიდან ბიზნესმენები კაპიტალს აბანდებენ იქ, სადაც მოგზალი იაფია) ორ მილიონამდე ინგლისელს სამუშაო არა აქვს, და რარიგ განსხვავდება ეს ვითარება საბჭოთა ხუთწლიანი გეგმისაგან, რომელიც ხალხის მიერ და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით იქნა მიღებული. პარტიამ და ხალხმა იციან, თუ რისთვის და როგორ დახარჯონ ქვეყნის შრომითი კაპიტალი, სად და როგორ დაბანდონ იგი, ეკონომიკის რომელი დარგები განავითარონ.

სრული დასაქმება, ხვალინდელი დღის იმედი, ნიჭის გამოვლინების ფართო შესაძლებლობა — სოციალიზმის დამახასიათებელი ყველა ეს ნიშან-თვისება ბევრისმომქმელია 175 ათასი ახალგაზრდა ინგლისელისათვის, რომლებმაც გაათლება მიიღეს, მაგრამ დღემდე სამუშაო ვერ უშოვიათ, ახალგაზრდა ადამიანებისათვის, რომლებსაც დიპლომები აქვთ, მაგრამ იძულებულნი არიან არაკვალიფიციურ სამუშაოს მოჰკიდონ ხელი. ფუჭ სიტყვებად აღიქვამენ ისინი აქაურ „მოქალაქეობრივ უფლებათა“, „დემოკრატიულ და მოქალაქეობრივ თავისუფლებათა“ მჭადაგებელთა დემაგოგიურ განცხადებებს. ჩვენი ცხოვრების დრამატულ სინამდვილედ იქცა ჯანდაცვის საკეთილისათვის სახსრების უკმარისობა, ძველი ყოველდ უვარგისი სკოლის შენობები, მწვავე საბინაო კრიზისი. რა დიდი კონტრასტია ამ მხრივ საბჭოთა გეგმიანი სისტემის მიღწევებთან შედარებით! აღსანიშნავია, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია უზრუნველყოფს მშრომელთა განათლების, ბინის, ჯანმრთელობის დაცვის უფლებების პრაქტიკულად განხორციელებას.

ოქტომბრის შემდეგ განვლილი 60 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ავლენდნენ უდიდეს ერთგულებას სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალებისადმი. სსრ კავშირში გრანდიოზული გარდაქმნების განხორციელება, საბჭოთა მშრომელების ცხოვრების გაუმჯობესება, უცხოეთში მშვიდობისა და პროგრესის ძალებთან თანამშრომლობა — სწორედ ის იდეებია, რომლებმაც რუსეთის პროლეტარიატი ზამთრის სასახლის იერიშისათვის დარაზმა, ის იდეებია, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოთა წყობილებას. ისინი განსაზღვრავენ საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მათს ფონზე საცოდავად გამოიყურება ინგლისელ პოლიტიკანთა დემაგოგია, ანტიხაბეოური პროპაგანდა, რომელიც უკვე დიდი ხანია ნამდვილ სიცრუის ინდუსტრიად იქცა, ცდილობს სსრ კავშირის იმ მიღწევათა მიჩქმალვას, რომლებიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ბრიტანეთში მძვინვარე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე. მაგრამ ანტიხაბეოელებს სულ უფრო უჭირთ თავიანთი მზაკვრული მიზნების ხორცშესხმა. განსხვავება ორი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ინგლისის „ცხოვრების ხარისხს“ შორის წლითიწლობით სულ უფრო შესამჩნევი ხდება. სოციალიზმმა ცხადყო თავისი ისტორიული უპირატესობა. სწორედ ეს წყობილებაა კაცობრიობის მომავალი.

ალან ბრაუნი,
ინგლისელი პუბლიცისტი.
ლონდონი



სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე

ეროვნული

აკადემიკოს ევგენი ხარაძის 70 წელი შეუსრულდა. ცხოვრების ეს ხანგრძლივი გზა ნაყოფიერი და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მან სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის სინოპტიკურ განყოფილებაში. იგი, სრულიად ახალგაზრდა, სწრაფად დაეუფლა სინოპტიკის კლასიკურ მეთოდებს და ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი გახდა. მის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველ მეტეოროლოგთა უფროსი თაობის წარმომადგენლები. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 30-იანი წლების დამდეგს გეოფიზიკური ობსერვატორიიდან ის მიეძღვნა ლენინგრადში ასპირანტურაში სწავლების გასაგრძელებლად, იქვლის სპეციალობას და ხელს კიდევ ატმოსფეროფიზიკის შესწავლას. ასტრონომიისადმი მისწრაფება მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროსვე ჩამოიყალიბა. აქ ასტრონომიის კურსს კითხულობდა პროფესორი ა. ბენაშვილი. ეტყობა ამ ლექციებმა ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა სტუდენტის დინტერესებს ასტრონომიით. მაგრამ საქართველოში ღრმად დასპეციალება ამ საკანში იმ დროს, ცხადია, შეუძლებელი იყო. რადგან არ არსებობდა ასტრონომიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რამე კერა. ეს იყო არსებითი ხასიათის ხარვეზი უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მუშაობაში. ამიტომ ამ დარგში კადრების მომზადება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიზნით ე. ხარაძე მივლინებულ იქნა ლენინგრადში.

ეს ის პერიოდია, როცა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გაცხოველებული ტემპით წარმოიდგა სამეცნიერო კადრების მომზადება. აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის თაოსნობით დიდი ჯგუფი ასპირანტებისა სპეციალდებოდა მათემატიკაში, ფიზიკაში, გეოფიზიკაში. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში ლენინგრადში, აკრეთვე მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ლენინგრადი კი ალბათ ასტრონომიის ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა. სახელგანთქმულ პულკოვოს ასტრონომიულ ობსერვატორიასა და სახელმწიფო ასტრონომიულ ინსტიტუტში ღრმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და პრაქტიკული ასტრონომიული დაკვირვებები მიმდინარეობდა. აქ მსოფლიოში ცნობილი საუკეთესო სამეცნიერო ძალები მუშაობდნენ. ახალგაზრდა ასპირანტმა ე. ხარაძემ მუშაობა დაიწყო ლენინგრადის ასტრონომიულ ინსტიტუტში პროფ. ბ. ნუმეროვის ხელმძღვანელობით. მან თავისი მუყაითი ნაყოფიერი მუშაობით იმოავითვე მიიქცია ყურადღება, როდესაც მან, ჯერ კიდევ ასპირანტმა, საკითხი დასვა საქართველოში ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსების შესახებ, ამას გაკვირვება არ გამოუწვევია მის ხელმძღვანელებს შორის. პირიქით, ამ წინადადებამ ენერგიული მხარდაჭერა ჰპოვა და საქართველოში სერიოზული სპეციალური ტრანსფორმატორიისათვის შესაფერისი ადგილის შესარჩევად. სპეციალისტების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საუკეთესო ადგილად მიჩნეულ იქნა აბასთუმანი, ყანობილის მთის პლატო. სპეციალისტების აზრს მხარი დაუჭირა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ. ამის საფუძველზე 1932 წლის გადაწყდა აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსება, მის დირექტორად დაინიშნა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ე. ხარაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე უწყვეტლივ მუშაობს დღემდე 45 წლის განმავლობაში.

აბასთუმანში ასტროფიზიკური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლას პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი წინაისტორია უძღოდა.

აბასთუმანში რამდენიმე წლის ცხოვრობდა ცნობილი მეცნიერი, პეტერბურგელი პროფესორი ს. ბლაჟნეხინი. მიფისწულის (ალექსანდრე III შვილის) აღაზრდელი. მან მიფისწულის სასახლის ახლოს (ეს სასახლე დღემდე შენახულია) ცნობილის ქვემოთ მთის ფერდობზე ასტრონომიული კოშკი ააგო და სათანადო ინსტრუმენტებით აღჭურვა. ალბათ, პროფესორი ს. ბლაჟნეხინი ამ კოშკს პედაგოგიური მიზნებისათვის იყენებდა, მაგრამ იგი იქვე აწარმოებდა მეცნიერული ღრმა ტალანტის მქონე ასტრონომიულ დაკვირვებებსაც.

სწორედ ეს კოშკი ხახდა ახალდაარსებული ობსერვატორიის მუშაობის გასაშლელი პირველი ბაზა. ობსერვატორიის კოლექტივმა მისი დირექტორის ე. ხარაძის ხელმძღვანელობით აქ დაიწყო საასტრონომიო დაკვირვებათა წარმოება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქვე იწერთობოდა კადრები მომავალი ობსერვატორიისათვის, რომლის პირველი რიგის ოფიცერები ინტენსიურად ზემოთ, ყანობილის მთის პლატოზე შენდებოდა.

რიგა რამდენიმე წელიწადში ეს ობიექტები მწყობრში ჩადგა, ობსერვატორიის კოლექტივი უკვე მზად იყო გაეშალა იქ სრულყოფილი ასტრონომიული დაკვირვებები და თეორიული კვლევა-ძიება. ცხადია, ამ რთული საქმისათვის თავის მობმა და მისი წარმატებით წარმართვა იოლი არ იყო. პირველად აქ იჩინა თავი ე. ხარაძის სამეცნიერო კვლევის ტალანტმა და სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობის დიდმა უნარმა. ახლად შექმნილ ობსერვატორიას რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა — ეს იყო უგზოობა, ტრანსპორტის სიმცირე, თანამშრომლების საყოფაცხოვრებო პირობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სხვ. თანამშრომელთა ნაწილი ცხოვრობდა ქვემოთ, აბასთუმანში, ნაწილი კი ყანობილის მთის პლატოზე დროებით barაკებში: სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული მომარაგების საკითხები, ბევრი სხვა დიტალი ამძიმებდა მდგომარეობას. მაგრამ, აბასთუმნის ობსერვატორიის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მტკიცედ იყო დარაზმული თავის დირექტორის ირგვლივ. ღრმად დინტერესებული საქმის წარმატებით. მიუხედავად მრავალი სირთულისა და სიძნელისა, დღედაღამ დაძაბულად მუშაობდა.

ამჟამად (უკვე დიდი ხანია) ეს სიძნელეები დაძლეულია. ობსერვატორიას რაღდენიმე ახალი სპეციალური ნაგებობა მოემატა, რომლებიც ახალი ასტრონომიული დანადგარებით აროს აღჭურვილი; კავკასიელია საავტომობილო გზა. აშენებულია საბაგირო გზა, რომელიც ყანობილის პლატოს აბასთუმანთან აკავშირებს. ეს ძალიან აადვილებს თანამშრომელთა და საშუალო სკოლის მოსწავლეთა გადაყვანა-გადმოყვანის საქმეს (მე ფიტყოდი, საბალისოსაც ხდის მას). პლატოზე აშენებულია თანამშრომლების კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კულტურის სახლი, საბავშვო ბაღი, სკოლა და სხვ. ამრიგად ობსერვატორიის თანამშრომლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისა და ცხოვრებისათვის.

ობსერვატორიამ თბილისშიც გაიჩინა „ფილიალი“. აქ წარმოებს სხვადასხვა თეორიული საკითხისა და ობსერვატორიის დაკვირვებითი მასალების დამუშავება იმ თანამშრომელთა მიერ, რომელთაც საშუალება არა აქვთ მუდმივად აბასთუმანში იცხოვრონ. მაგრამ ამით ობსერვატორიის ზრდა არ დამთავრებულა. მას ყოველწლიურად უმატება ახალი სპეციალური თანამედროვე იარაღებით აღჭურვილი ნაგებობანი, რაც მეცნიერული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების საშუალებას იძლევა.

ობსერვატორიის სამეცნიერო კოლექტივი შედგება და ამჟამადაც შედგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან. ბევრი მათგანი თვით აბასთუმანშივე დაეუფლა ასტრონომიული კვლევის მეთოდებს, მაგრამ პარალელურად ფართოდ იყო გამოყენებული აკრეთვე სამეცნიერო შავლინებანი და ასპირანტურის გზით კადრების მომზადება მოსკოვის, ლენინგრადის, ყირიმისა და სხვა ობსერვატორიებში; ობსერვატორიის დირექტორი ე. ხარაძე ხშირად და დიდი ხნით იწვევდა აბასთუმანში რუსეთის ცნობილ ასტრონომებს, რომელნიც აქ ნაყოფიერად მუშაობდნენ და ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო კადრების აღზრდას. (მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. შაინი, წევრ-კორესპონდენტები პ. პარენაგო და დ. მაკსუტოვი, პროფესორები ბ. ნუმეროვი და ბ. ვორონცოვ-ველიამინოვი და სხვა). აბასთუმნის ობსერვატორიასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ აკად. ვ. ამბარცუმიანი, შემდეგ კი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიურაკანის ობსერვატორიის სხვა თანამშრომლებიც, ბოლო ხანებში ეს ურთიერთობა მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა, რაც მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო თანამშრომლობაში ვლინდება.

აბასთუმნის ობსერვატორიამ აკად. ე. ხარაძის ხელმძღვანელობით მალე მოიპოვა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. აქ ზუსტად იმართება ასტრონომთა საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრები, სიმპოზიუმები, კონფერენციები. ობსერვატორიის დირექტორი ე. ხარაძე არჩეულია ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

ობსერვატორია ფართო ფრონტით აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. იქ იკვლევენ თანამედროვე ასტროფიზიკის მთელ რიგ ფუნდამენტურ პრობლემებს. ობსერვატორია მჭიდროდ არის ჩაბმული კოსმოსური კვლევის თემატიკის დამუშავებაში. ამ დარგში მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი წყდება. ამ მიმართულებით ობსერვატორიის მიღწევები მაღალ შეფასებას იმსახურებს, მის ერთ-ერთ ნამუშევარს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ობსერვატორიის კოლექტივი, კერძოდ, მისი დირექტორი ე. ხარაძე დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა ადიგენისა და მიმდებარე რაიონების მშრომელთა შორის საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. აკადემიკოსი ე. ხარაძე არჩეულია საზოგადოება „ცოდნის“ რეს-პუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა ე. ხარაძის მოღვაწეობაზე მხოლოდ როგორც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის შესახებ. ნაგრამ მისი მოღვაწეობა სცილდება ამ ფარგლებს. მას დიდი წვლილი შეეტანდა და შეაქვს თავისი საინეინერო-საორგანიზაციო მოღვაწეობით რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებთა მუშაობაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.

აკადემიკოსი ე. ხარაძე ათეული წლების მანძილზე განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრას და ხელმძღვანელობს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასტრონომიის სპეციალობის სტუდენტობის სწავლებასა და დახელოვნებას. ამ ფაკულტეტზე აღიზარდა აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომელთა უმეტესობა, მიიღო დიპლომები საშუალო სკოლის ასტრონომიის მასწავლებელთა უმრავლესობამ. ე. ხარაძე სისტემატურად კითხულობს ასტრონომიის სხვადასხვა კურსს, წერს ასტრონომიის სახელმძღვანელოებს საშუალო და უმაღლესი სკოლისათვის, ბეჭდავს მეტად საინტერესო პოპულარულ წიგნებსა და ბროშურებს.

წლების მანძილზე აკადემიკოსი ე. ხარაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. აქ მან მრავალი სიახლე შეიტანა მუშაობაში. კერძოდ, მისი თაოსნობით და ინიციატივით დაიწყო უნივერსიტეტის მრავალი ახალი სასწავლო და ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა (უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, მაღალი ენერგიების მირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია და სხვ.).

მრავალფეროვან ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აკადემიკოსი ე. ხარაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, რომლის ფარგლებში აბასთუმნის ობსერვატორია თავიდანვე (აკადემიის დაარსებისთანავე) შედის. აკადემიის პრეზიდენტას აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის წინადადებით აკადემიკოსი ე. ხარაძე არჩეულ იქნა აკადემიის ძირითადი სამეცნიერო ჟურნალის „მოამბის“ მთავარ რედაქტორად. მან ამ ჟურნალის მუშაობაში მრავალი სიახლე შეიტანა, გაფართოვდა ჟურნალის მოცულობა. გაუმჯობესდა ხარისხი. ჟურნალნა საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ჟურნალის 400-მდე ეგზემპლარი უცხოეთში ვრცელდება, რაც საფიციალური სამეცნიერო გამოცემისათვის მეტად სოლიდური ციფრია.

განსაკუთრებით ინტენსიური ვახდა აკადემიკოს ე. ხარაძის მოღვაწეობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მას შემდეგ, რაც 1972 წელს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. მეტად გაფართოვდა მისი ნოდოვნების არეალი ის წარმატებით ხელმძღვანელობს აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საქმეს, აკადემიის ობიექტებს მშენებლობას და სხვ. სწორად წარმოადგენს აკადემიას რესპუბლიკასა და საკავშირო უმაღლეს ორგანოებში.

აკადემიკოსი ე. ხარაძე ეეწევა მრავალფეროვან მუშაობას პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. მის მოღვაწეობას ეპალ შეფასებას აძლევენ ჩვენი პარტია და მთავრობა. მას მიღებული აქვს მთავრობის მრავალი მაღალი ჯილდო.

აკადემიკოს ე. ხარაძეს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი ხალხის ფართო მასებთან. ეს როგორც აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო პარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტის წევრი და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს დეპუტატი, წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი.

რასაკირველია, ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, არ ამოწურავს აკადემიკოს ე. ხარაძის მოღვაწეობას, მისი სახით ჩვენ გვყავს დიდი ტალანტის მეცნიერი, რომელიც დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით, რომელმაც თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით წარუშლელი ადგილი დაიჭირა ჩვენი მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის განვითარების მრავალ დარგს. სასიხარულოა, რომ დღეს მას აქტიური მეცნიერული მემოქმედებისა და საორგანიზაციო მუშაობის უნარი მთლიანად აქვს შენარჩუნებული და წარმატებით ეწევა მოღვაწეობას ფართო ფრონტით.

დღეგრძელობა და დიდი ხნის სიცოცხლე ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ე. ხარაძეს.

აკადემიკოსი Ი. ვეკუა.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.



Ბ. ლომიძის ნახატი.

ᲐᲡᲔ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. (საკვანძო). დიდმა ოქტომბერმა ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის ისტორიაში. გააღვიძა ჩაგრული მასების შეგნება, მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა მათ ბრძოლაზე თავიანთი უფლებებისათვის. განაცხადა საკვანძო კორესპონდენტთან სუბარში პარლამენტის დეპუტატმა. ესპანეთის კომპარტიის ალმასკომის წევრმა იგნასიო გალიეგომ განვლილი იქვეა ათწლეულის მანძილზე. ხაზი გაუსვა მან, საბჭოთა კავშირში მოხდა ომამდელთა კოლონიები, რომელთა შედეგად მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოთ ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ. ისოდენ გრანდიოზული მიღწევები ასე მოკლე ვადაში კაპიტალისტორთან შედარებით სოციალისტური წყობილების კაპიტალისტურზე ოპერატიულობის საუკეთესო დადასტურებაა. მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული დასაბუთებულობისა და ისტორიული მნიშვნელობის დადასტურებაა.

იგნასიო გალიეგომ ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ დიდი საბჭოთა ხალხის მეოხებით, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხებს ო�დაათ წელიწადზე მეტია არ უნახავს ომი, არ იციან რა არის ომი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. (საკვანძო). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი კაცობრიობისათვის. განაცხადა ფინეთის კომპარტიის ხაპატიო თავმჯდომარემ ეილი პესმა. რომელიც გამოვიდა ქალაქ კოტკეში სახელოვანი ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. სწორედ ამიტომ ხაზი გაუსვა მან, ოქტომბრის მე-60 წლისთავს აღნიშნავს არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ აკრეთვე მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ისტორია — ეს არის ამის ცოცხალი დადასტურება, თუ რა წარმატებების მიღწევა შეუძლია ხალხს მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია გამოცდილების საგანძურია ყველა კომუნისტური პარტიისათვის. აღინიშნავთ რა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, თქვა დასასრულს ე. პესმა, ჩვენ ძმურ სალამს ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲘᲣᲫᲚᲕᲘᲐᲜ

ᲒᲓᲠ

● **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** შტრალზუნდის სახელხო გემთსაშენის მეზობალდეებმა საბჭოთა შემკვეთებს გადასცეს „ატლანტიკის“ სერიის მძლავრი თევზსაჭერი ტრალერი. თავის დროზე გემთსაშენის კოლექტივმა ამ გემის მშენებლობა, რომელსაც „პროფეტარული რევოლუციის“ დაარქვეს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დამკვრელურ ობიექტად გამოაცხადა. ზუსტად დასახულ გადაში და ყველა სამუშაოს მაღალხარისხოვანი შესრულებით გემის გადაცემა შტრალზუნდელმა მეზობალდეებმა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს მიუძღვნეს.

სსრ კავშირისათვის პირველი გემი ამ გემთსაშენმა გამოუშვა 1949 წლის 7 ნოემბერს. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის შეკვეთით აქ აშენდა 1.100-ზე მეტი თევზსაჭერი გემი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲓᲔᲚᲘ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულის კვირეული მიმდინარეობს ბომბეიში. მასობრივ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის წინ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, გამოვიდნენ ქალაქის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

● **ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ.** აქ მიმდინარეობს სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება. უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და უმაღლესი პარტიული სკოლის მიერ მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობენ თვალსაჩინო უნგრელი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები, აგრეთვე საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ნობელის პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი ა. მ. პროხოროვი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘ

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** მილიონობით ფრანგი 7 ნოემბერს ნახავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობას, რომელიც მოსკოვიდან გადაიცემა. საფრანგეთის ტელევიზიის პირველი პროგრამის დირექციამ გამოაცხადა, რომ აწარმოებს პირდაპირ გადაცემას წითელი მოედნიდან.

ᲒᲐᲜᲐ

● **ᲐᲙᲠᲐ.** განის დედაქალაქში მიმდინარეობს საბჭოთა ფოტოგამოფენა „ჩვენი ბიოგრაფია“, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. ექსპოზიცია აშუქებს საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხის მიღწევებს ცხოვრების ყველა დარგში. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას.

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲗ

□ **სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მეცნიერებათა აკადემიის სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ — მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თვალსაჩინო მეცნიერს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებელსა და უცვლელ ხელმძღვანელს სახელოვან იუბილეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტებზე თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ასტრონომიისა და ასტროფიზიკის დარგში თქვენმა ღრმა ტალანტებმა საგრძნობლად გაამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერება.

დიდ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზატორულ მოღვაწეობასთან ერთად თქვენ ბევრ ძალას და ენერგიას ახმართ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მუშაობას. ხართ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ისურვებთ თქვენ, ძვირფასო ევგენი კირილეს ძეო, ჯანმრთელობას და შემოქმედების წარმატებებს საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების საკეთილდღეოდ.

Ა. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

□ **ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ** გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერს, ასტრონომს დაბადების 70 წლისთავს. თითქმის ნახევარი საუკუნეა სათავეში უდგახართ თქვენს მიერ დაარსებულ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, და უდიდესი წვლილი შეიტანეთ ასტროფიზიკისა და ირსკვლავთ ასტრონომიის განვ

ფიზკულტურა და სპორტი

გუშინ თბილისში საზეიმოდ გაიხსნა მშთ კომკავშირის მრავალჰექტარიანი მეოთხე საკავშირო ჩემპიონატი „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე

სიჯანსაღის, ახალგაზრდობის დღესასწაული

მშთ — ეს ათის სიჯანსაღე, ღონე, ახალგაზრდობა ხანგრძლივი ფლებისათვის. მან მრავალი თაობა აზიარა ფიზიკურ კულტურასა და დიდ სპორტს.

ეს მასობრივი შეჯიბრებები დაიწყო ლენინური კომკავშირის ინიციატივით და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მშთ მრავალჰექტარიანი საკავშირო ფინალური ასპარეზობები კომკავშირის დაბადების დღეს ემთხვევა და გამარჯვებულნი მისი სახელოვანი გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებს იმსახურებენ. წლეულს კი ახალგაზრდობის ამ დიდ ზეიმს აშშენებს ის, რომ ფიზიკურ-ულელთა მილიონიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლების დიდი ფორუმი იმართება საიუბილეო ფლეწელად, როცა ჩვენი ქვეყანა და მთელი პროგრესული კაცობრიობა დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

და რაოდენ საამაყოა საქართველოს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისათვის, რომ ფინალური შეჯიბრებები ეწყობა ჩვენს დედაქალაქში — ჭაღარა და მარად ახალგაზრდა თბილისში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხომ საქართველო გადაიქცა მდიდარი სპორტული ტრადიციების რესპუბლიკად, რომელმაც აღზარდა მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები ნინო დუმბაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედორაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, ალექსანდრე მეტრეველი და მრავალი სხვა სასიქადულო ოსტატი...

მზიანი ოქტომბრის დილა გათენდა გუშინ თბილისში. მოკავშირე რესპუბლიკებისა და სპორტული ორგანიზაციების ალმებით, ტრანსპარანტებით სადღესასწაულოდ მორთული ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები ხალხით ავსო...

დღის 5 საათია. გაისმის ფანფარების საზეიმო ხმა.

იწყება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი, კომკავშირის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე მშთ მრავალჰექიდში საკავშირო ფინალური ასპარეზობების საზეიმო გახსნის ცერემონიალი.

აღმოსავლეთი ტრიბუნებიდან საფეხბურთო მოედანზე შემოდის მედაფდაფეთა კოლონა, იწყება ორკესტრის საზეიმო მსვლელობა, სტადიონს თოხივე მხრიდან ვარს ერტყმიან მედროშენი, სამხრეთის ტრიბუნიდან მოემართება სპორტულ ორგანიზაციათა ალამდარების კოლონა, რომლებსაც მოჰყვებიან ფინალის მონაწილენი — 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადისა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლნი, მასობრივი სპორტული სანახაობის მონაწილენი...

აღლუმს სარდლობს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსნობაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, მშთ მრავალჯიდში ომამდელი წლების პირველი ჩემპიონი ვ. სვეტლეკო. მეწინავე კოლონაში არიან სპორტის სახელმოხვეჭილი ვეტერანები, მშთ პირველი ნიშნოსნები.

აღლუმს მიესალმება საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. ჩერქეზიანი.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმება საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გრიბაზრინეკი, მშთ საკავშირო კომპლექსის თავმჯდომარე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ორგზის სსრ კავშირის გმირი, კოსმონავტი-მფრინავი ალექსი ლეონოვი.

სტადიონზე ცნობილ სპორტსმენებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს შემოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა.

ფლაგშტოკზე ამაყად აფრიალდა ჩვენი დიდი სამშობლოს ალამი.

სტადიონზე შემოდის მანქანა, რომელსაც თან საპატიო ესკორტი ახლავს. მანქანით მოაქვთ ჩირაღდანი — იგი რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის ცეცხლით აინთო. მას ასპარეზობათა ტრადიციული კოცონის ასათხუნად გადასცემენ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვიქტორ სანეევს....

„ოლიმპიურ ჯამში“ ცეცხლი აკიზგიზდა.

საზეიმო მარშის ხმაზე აღლუმის მონაწილენი ტოვებენ სტადიონს მწვანე მინდორს, სარბენ ბილიკებს.

იწყება წარმტაცი სპორტული სანახაობა.

ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი სპორტსმენები მოედანზე გამორბიან. აი ისინი გადაეწყვნენ და გამორჩნდა ხუთი გადაჭდობილი ოლიმპიური ფერადი რგოლი. ბავშვები ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს. ამასობაში აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ცოცხალი ანბანით წარმოისახება წარწერა „მშთ“.

ლენტით ვარჯიშს ასრულებს მხატვრული ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ნატალია კრაშენინიკოვა.

გოგონები ასპარეზს ბიჭუნებს უთმობენ. მოედანზე შემორბის 400 ნორჩი ფეხბურთელი. ისინი ბურთის ფლობის თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მაყურებლებს. სარბენ ბილიკზე კი გამორჩნდა ძძლეოსნების ჯგუფი. ისინი უკვე ჩაებნენ ასპარეზობაში — სტარტი მიეცა მასობრივ კრსს. მისმა მონაწილეებმა წრე შემოავლეს სტადიონს და ისევ ტრასისაკენ გაეშურნენ. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე კი უკვე ჩაეთხულობთ „მოსკოვი-80“. სარბილი ეთმობათ ველოსიპორტის წარმომადგენლებს — ერთბაშად ორასმა ველომრბომლმა ჩაუქროლა ტრიბუნებს.

საფეხბურთო მოედანზე კი ფეხბურთელები ტანმოვარჯიშეებმა შეცვალეს. ლამაზი სანახაო იყო კუნთოვანი ჭაბუკების, ტანკენარი გოგონების თავისუფალი ვარჯიშები.

სარბენ ბილიკზე გუგუნით შემოდის 15 მოტოციკლეტის კოლონა — მანქანებზე ამწედრებულ ალამდარებს ამაყად აღუმართავთ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები. ტრიბუნაზე ახალი ცოცხალი წარწერაა — „ხალხთა მეგობრობა“, მოჩანს კრემლის მაცხოვრის კოშკის სილუეტი.

მოედანზე და ბილიკებზე კი 1200-მა მოსწავლემ, სპორტული სკოლების 300-მა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ დამთავრა მშვენიერი სანახაობა.

სტადიონზე შემოდის მანქანების კოლონა. მოჩანს ლენინური კომკავშირის დაბადების თარიღი, ალაკ სამკერდე ნიშანი ეკიდა ორდენი, მანქანებში არიან შრომის, ხელოვნების, სპორტის, სწავლის წარჩინებულნი, დიდი სამამულო ომის გმირები.

ჩნდება ყველასათვის საამაყო სიტყვები — „დიდება სპბპ!“, ელენს დიდებული მელოდია — სრულდება სიმფონია ოქტომბრის ბელადზე, სტადიონის ცენტრში კიაფობს ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ტრიბუნაზე მოჩანს ვ. ი. ლენინის სილუეტური პორტრეტი. გაისმის საზეიმო ზალპები — ცაში აიჭრა ფერადი შუშხუნების გირლანდები, ფერადი ბურთები ტრანსპარანტებით.

ასე მთავრდება ფინალურ ასპარეზობათა საზეიმო გახსნის დიდებული სანახაობა.

სურათზე: ზემოთ, მარცხნივ — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ვ. სანეევი ანთებს ასპარეზობათა ჩირაღდანს; ქვემოთ, მარცხნივ — ცნობილ სპორტსმენებს მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა; მარჯვნივ — მესამე საფეხურის ნიშნოსანთა 100 მეტრზე რბენაში შეჯიბრების ერთ-ერთი ფინიში.

მ. ზარბარიანის ფოტო.

ფეხბურთი

დაძაბული ფრე

„დინამო“ (თბილისი)- „დინამო“ (კიევი) — 0:0 (0:0).

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, მსაჯი ვ. ჭარაკოვი (მოსკოვი), ნ. ათასი მაყურებელი, ტემპერატურა 10 გრადუსი.

„დინამო“ (თბილისი): ვაბელია, კოსტავა, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩიკვაძე (კოპალეიშვილი), მ. მაჩაიძე, დარასელია, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (შენგელია);

„დინამო“ (კიევი): იურკოვსკი, კოსკოვი, მატვიენკო, ფომენკო, რუშკო, ლოზინსკი, ბესონოვი, ბერეზნოი (ბურიაკი), კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

გუშინდელ მატჩს ნამდვილად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილების განაწილებისათვის, მოგების შემთხვევაში კიეველები ორი ტურით ადრე ჩემპიონები ხდებოდნენ (უკვე პირველი ტაიმის ბოლოს ცნობილი გახდა ბაქოს „ნეფტჩისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრის შედეგი), ხოლო მასპინძლებს — თეორიული შანსები კიდევ უფრო უმტკიცდებოდათ უმაღლესი ტიტულისათვის საბრძოლველად, ვერცხლის მედლებზე რომ არაფერი ითქვას.

მაგრამ, რატომღაც, სტუმრები ზედმეტ რისკს მოერიდნენ და ისევ მიმართეს ჩვეულ გასლათს მოდელს — საკუთარ საჯარიმოსთან მასირებული კიდელი აღმართეს, ხოლო წინწაწეული ბლოხინი გამუდმებით ეძიებდა კარის,ენ გაჭრის შესაძლებლობებს, რაშიც მას ყოველ ხელსაყრელ მომენტში აქტიურად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები და განსაკუთრებით ბესონოვი.

თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე თბილისელები ტერიტორიულ უპირატესობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ ამაოდ. მე-40 წუთზე ჩელებაძის თავით გაგზავნილი ბურთი სტუმართა კარის ზედა ძელს მოხვდა, უკან დაბრუნებულს ზუსტად დარტყმა კი მეკარის მოედანზე შექმნილ არეულობაში ვერავინ მოახერხა.

მასპინძელთა შეტევით დაიწყო მეორე ტაიმიც. უკვე მეორე წუთზე ყიფიანი ბურთს მშვენივრად აწოდებს დარასელიას. დარტყმა და ისევ ძელი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელები ამჯერად გოლს გადაურჩნენ და ეს მით უფრო დასანანი იქნებოდა, რადგან გაბელიას აკრობატული ნახტომით მოეხდა ხინჩაგაშვილის მიერ უნებლიეთ საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთის კუთხურზე მოგერიება. შემდეგ გაბელიამ ერთხელ კიდევ ისახელა თავი, როცა სწორად დაუხვდა პირისპირ გასულ ბლოხინის მიერ დარტყმულ ბურთს. მოგერიების შემდეგ კი თავგანწირვით დაფარა იგი.

მატჩის დასასრულამდე თბილისელთა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0. ასე დამთავრდა ეს დაძაბული ორთაბრძოლა.

თამაშის შემდეგ:

ვ. კოვანი (კიევის „დინამოს“ მწვრთნელი): ჩვენი გუნდის ყველა წევრმა იცოდა, რომ თბილისში გვექნებოდა ძნელი და მძიმე თამაში. ამისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მიგვემართა გასვლითი მოდელისათვის, რაც მასირებულ თავდაცვას გულისხმობს მწვავე კონტრიერიშებით. შეიძლება სანაჯობრივად ასეთი თამაში მოსაწყენი იყოს, მაგრამ გუშინდელ შეხვედრაზე ამას ვერ კიტყვით, ჭას სიმწვავე არ აკლდა.

წლევანდელ სეზონში თბილისის „დინამო“ კარგად და შინაარსიანად თამაშობს. მას ჰყავს შესანიშნავი ფეხბურთელები. განსაკუთრებით საშიში არიან ყიფიანი და მაჩაიძე. პირველის მეურვეობა ბერეზნოის, ხოლო მეორესი — ბესონოვს დაევალათ. თამაში კორექტული და საინტერესო იყო.

ხ. კუტინაძე (თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი): თამაშის შეფასებაში ვეთანხმები ჩემს კოლეგას მიხეილ კომანს. თბილისის დინამოელებიც მონდომებით ემზადებოდნენ ამ თამაშისათვის. მინდორი უკეთესი რომ ყოფილიყო, თამაში სანახაობრივად უფრო მოიგებდა. საგოლე მომენტები მეტოქეებს თითქმის ერთნაირი ჰქონდათ და ამიტომ ფრე კანონზომიერია. უნდა აღვნიშნო საკავშირო კატეგორიის მსაჯის ვიქტორ ჭარაკოვის მაღალკვალიფიციური მსაჯობა. თბილისის „დინამოს“ ყველა წევრის სახელით მინდა მიფულოცოო ჭარაკოვს დაპადების ორმოცდაათი წელი.

ვ. ჭარაკოვი (მატჩის მსაჯი): თამაში პირველ ოც წუთში მძიმე და ნერვიული იყო, მაგრამ შემდეგ თანდათანობით ჩადგა კალაპოტში და კორექტულად, უბეშობის გარეშე მიმდინარეობდა. ჩემთვის სასიხარულოა, ამას თუ შეიძლება სახარული ეწოდოს, რომ უკანასკნელი მატჩი საკავშირო ჩემპიონატის ეგიდით ვიმსაჯე თბილისში. მე დღეს ვამთავრებ სამსაჯო კარიერას და ჩემი სასტვენი მინდა თქვენს თვალწინ გადავცე დღევანდელ ჩემს თანაშემწეს საკავშირო კატეგორიის მსაჯს სერგეი ბელიაევს.

ხ. მოსიაშვილი (სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): თბილისისა და კიევის დინამოელების დღევანდელი მატჩი მძიმე იყო თავისი ხასიათით. ასეთ დროს კარგი, ლამაზი ფეხბურთის თამაში მეტად ძნელია. ბუნებრივია ფეხბურთელებიც ვერ ავლენენ მაღალ ტექნიკას.

თბილისის „დინამოს“ ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ წარმატებით გამოვიდეს როგორც საკავშირო ჩემპიონატში, ისე უეფას თასის გათამაშების შემდგომ ეტაპებზე.

ვ. ჭანიშვილი,
ბ. ბახტურიძე.

კიდევ ორი მატჩი

გუშინ მოსკოვსა და ბაქოში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტურის კიდევ ორი მატჩი. აი მათი შედეგები:

ცსკა-„შახტიორი“ — 0:0

„ნეფტჩი“-„ტორპედო“ — 1:1

ტანვარჯიში

მთელი კვარცხლბეკი

ესპანეთის ქალაქ ოვიედოს სპორტულ სასახლეში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, დაიწყო ასპარეზობა მსოფლიოს თასებზე. პირველ დღეს ტანვარჯიშელი იარაღები და ფიცარნაგები ვაეებს დაეთმოთ. საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ მონრეალის ოლიმპიადის ბრონზეულ ჩემპიონი ნიკოლოზ ანდრიანოვი, ევროპის ბრონზეულ ჩემპიონი ვიქტორ მარკელოვი და ალექსანდრე ტკაჩოვი. საბჭოთა სპორტსმენებს მეტოქეობა ვერ გაუწევიან ვერც უძლიერესმა იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმაც კი, დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ.

პირველი სამი ადგილისათვის ბრძოლა ბოლომდე სწორედ ამ სამ თანაგუნდელს შორის მიმდინარეობდა და მხოლოდ უკანასკნელმა ვარჯიშმა გამოავლინა გამარჯვებული — გუნდის კაპიტანმა ნიკოლოზ ანდრიანოვმა მრავალჭიდის ჯამში (შეგახსენებთ, რომ სპორტსმენები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობდნენ) 57,45 ქულა დაგროვა და მეორედ მოიპოვა მსოფლიო თასი.

კვარცხლბეკზე მას მხარს უმშვენებდნენ თანაგუნდელები ვიქტორ მარკელოვი (57,4 ქულა) და ალექსანდრე ტკაჩოვი (57,35).

გუშინ თბილისის დროისათვის ჯვიან ღამით გამოვლინდა გამარჯვებული მრავალჭიდში ქალთა შორის.

შეჯიბრების ოქმების გადასინჯვისას აღმოჩნდა, რომ მარკელოვსაც იმდენივე ქულა დაეგროვებინა, რამდენიც ანდრიანოვს. და აი გუშინ ასპარეზობის ორგანიზატორებმა ისიც გამარჯვებულად აღიარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ახობაძე

გარდაცვალა თბილისელი ისტორიკოსი, ენციკლოპედიათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი **ეროსტი ამბაკოს ძე ახობაძე.**

ე. ახობაძე დაიბადა 1907 წელს სამტრედიის რაიონში. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასპირანტურაში სწავლის წლებიდანვე იგი ეწეოდა პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას — რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსს. მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროს მეცნიერ მუშაკად, ვ. ი. ლენინის სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ... ინსტიტუტის უფროსად მეცნიერ-მუშაკად, ... ენციკლოპედიის ... ...